პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 160 (5190)

1974წ. 14 აგვისტო, ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მესამე მედალი ვერცხლისა გამოდგა

ვროცლავი, 12 აგვისტო. თბილისელმა ჩოგბურთელმა ა. მეტრეველმა ევროპის ჩემპიონატში 2 ოქროს მედლის (ვაჟთა წყვილებსა და შერეულ დუეტებში) მოპოვების შემდეგ მარცხის სიმწარე იწვნია ერთეულთა ფინალურ მატჩში 22 წლის უნგრელ ბ. ტაროცისთან — 2:6, 8:10, 6:2, 6:4, 4:6. ამრიგად, მეტრეველის მესამე მედალი ვერცხლისა გამოდგა. ეს დაძაბული მატჩი 4,5 საათს გაგრძელდა.

ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭა თბილისელმა თ. კაკულიამ, რომელმაც ამ ჯილდოსთვის ბრძოლაში უნგრელ ი. შენიკს სძლია — 6:1, 6:2, 6:4.

ქალთა წყვილების ფინალურ მატჩში საბჭოთა დუეტები შეხვდნენ ერთმანეთს. მოსკოველმა ო. მოროზოვამ და კიეველმა მ. კროშინამ იოლად დააყრევინეს ფარ-ხმალი მოსკოველებს ნ. ჩმირიოვასა და ე. გრანატუროვას — 6:2, 6:0.

ქალთა ერთეულების ფინალურ მატჩში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ კროშინა და 18 წლის მ. ნავრატილოვა (ჩეხოსლოვაკია). გაიმარჯვა ნავრატილოვამ — 7:9, 6:3, 6:2. მოულოდნელი იყო მოროზოვას მარცხი მეოთხედფინალში: მან ასევე ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელ მ. კოჟელუხოვასთან წააგო.

ევროპის აქ დამთავრებულ ჩემპიონატში საბჭოთა ჩოგბურთელებმა სულ 3 ოქროს, 4 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ჩვენი მოძმე რესპუბლიკებში

გაიმარჯვა „იასნომორსკის“ ეკიპაჟმა

ნახოდკა, 10 აგვისტო. საბჭოთა თბომავალ „იასნომორსკის“ მეზღვაურებმა მოიპოვეს სამახსოვრო თასი წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების მეზღვაურთა საერთაშორისო სპორტული კვირეულის პროგრამით გამართულ ასპარეზობაში გამარჯვებისთვის.

შეჯიბრება ფიზკულტურელის საკავშირო დღეს ეძღვნებოდა. პროგრამაში იყო მძლეოსნური ხუთჭიდი და ფეხბურთი.

ნახოდკის ნავსადგურში მდგარი შორეული აღმოსავლეთის, ზღვისპირეთისა და სახალინის საზღვაო სანაოსნოების სავაჭრო გემების მეზღვაურებთან ერთად ასპარეზობდნენ იაპონიის თბომავლების „იამახანა-მარუს“ და „სეიზან-მარუს“, პანამის „სან-ტრისიის“ ეკიპაჟებიც.



მკაცრი გამოცდა

ვლადივოსტოკი, 10 აგვისტო. შორეული აღმოსავლეთის გ. ნეველსკის სახელობის უმაღლესი საინჟინრო-საზღვაო სასწავლებლის საკრეისერო იახტა „როდინამ“ განახორციელა ორთვიანი გადასვლა მარშრუტით: ვლადივოსტოკი — კამჩატკის პეტროპავლოვსკი — ვლადივოსტოკი. „როდინამ“ ჯერ კიდევ ივნისის დამდეგს აიღო კურსი სახალინის ნავსადგურ კორსაკოვისკენ. ეკიპაჟში შედიოდა ექვსი კაცი: შორეული აღმოსავლეთის უმაღლესი საზღვაო სასწავლებლის მასწავლებელი ლ. ლისენკო (კაპიტანი), სასწავლებლის კურსანტები — უფროსი თანაშემწე ა. მედვედევი, რადისტი პ. ხომენკო, მატროსები ა. ონოფრეიჩუკი, გ. დავლიატშინი და ლ. კოჩერიჟკინი.

ლენინგრადის გემთმშენებლების მიერ აგებული ნავის სიგრძე სულ 12,5 მეტრია, წყალწყვა — 6,5 ტონა. ამ ტიპის („ლ-6“) იახტებით ასე ხანგრძლივი გადასვლა პირველად განხორციელდა. ნავმა უკან მოიტოვა 8-ათასმილიანი უძნელესი გზა. მეგობრულმა ეკიპაჟმა ღირსეულად ჩააბარა მკაცრი გამოცდა.

* * *

სურათზე: ა. მედვედევი (მარცხნივ) და ლ. ლისენკო.

ი. ვაინშტეინის ფოტო
(საკდესი).

17-18 აგვისტოს

დაბა კიკეთის მიდამოებში „განთიადის“ თბილისის საქალაქო საბჭო ატარებს ტურისტულ შეკრებას.

პროგრამაშია ტურისტული ლაშქრობა, შეჯიბრებები მშდ კომპლექსის მრავალჭიდში (ხელყუმბარის ტყორცნა, ბირთვის კვრა, ძელზე მიზიდვა, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომა).

მონაწილეობენ თბილისის საწარმო-დაწესებულებათა და სამშენებლო ორგანიზაციათა ფიზკულტურული კოლექტივების გუნდები.

დასაწყისი 17 აგვისტოს 9 ს.

ოთხი ეტაპი და... სამი ლიდერი

ალიტუსი (ლიტვის სსრ), **12 აგვისტო.** პოლონელმა ველომრბოლელმა ი. კოლოპაილომ („შლიონსკი“) ბალტიის მეგობრობის საერთაშორისო მრავალდღიანი ველორბოლის IV ეტაპის ფინიშთან მძლავრი ბიძგით ოდნავ გაუსწრო მეტოქეთა დიდ ჯგუფს. კაუნასიდან ალიტუსამდე მდებარე 127 კმ გამარჯვებულმა 2 საათში, 54 წუთსა და 20 წამში დაფარა.

შეჯიბრების პირველი ნაწილი — ასპარეზობა ლიტვის გზებზე — დამთავრებულია. ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზი მოიპოვა სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა, რომელიც ოთხი ეტაპის ჯამში 1 წუთითა და 27 წამით უსწრებს უახლოეს მეტოქეს — პოლონეთის ახალგაზრდულ ნაკრებს.

III ადგილზეა ესტონეთის გუნდი, რომლის წევრი, 20 წლის ლ. ლინნო ყველას სჯობს პირად ჩათვლაში და პოლონეთის საზღვარს ლიდერის ყვითელ მაისურში გამოწყობილი გადაჰკვეთს. ეს უკვე მესამე ლიდერია ოთხი ეტაპის განმავლობაში. ლინნოს მხოლოდ 2 წამით ჩამორჩებიან ი. ზაევი (სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები) და ვ. კრასავცევი (ლატვია).

ერთ დღეს შესვენების შემდეგ მრავალდღიანი ველორბოლის მონაწილეებს ელით „ნეიტრალური“ ეტაპი დრუსკინინკაი — ბელოსტოკი. მრბოლელი, ვინც პირველი გადაკვეთს საბჭოთა კავშირ — პოლონეთის საზღვარს, სპეციალური პრიზით დაჯილდოვდება. მერე კი ხუთი ეტაპია პოლონეთის გზებზე.

● **ოდესა, 12 აგვისტო.** იაპონიის ფრენბურთელ ქალთა ეროვნულმა გუნდმა აქ ანგარიშით 3:0 (15:8, 15:7, 15:9) დაამარცხა უკრაინის ნაკრები.



სურათზე: იაპონიის ფრენბურთელ ქალთა ნაკრების პირველი მატჩი საბჭოთა კავშირში — შეხვედრა მოსკოვის ნაკრებთან, რომელიც სტუმრებმა მოიგეს ანგარიშით 3:1 (15:3, 15:4, 11:15, 15:8).

საკდესის ფოტო.

● ●

● **ვეკშე, 12 აგვისტო.** საბჭოთა ძალოსნებმა კვლავ გაიმარჯვეს აქ ჩატარებულ „ბალტიის თასის“ გათამაშებაში. თავიანთ წონით კატეგორიებში საუკეთესონი იყვნენ: ლ. სენშინი, ნ. კოლესნიკოვი, პ. კოროლი, ვ. კირჟინოვი, ვ. რიჟენკოვი, ვ. უსტიუჟინი.

● **ვარნა, 12 აგვისტო.** იუნიორ მძლეოსანთა ბალკანიადაში ბულგარელებმა გამოიჩინეს თავი. 19 წლის ლ. პანაიოტოვამ 200 მ 22,6 წამში გაირბინა (ეს შედეგი ეროვნული მიღწევა და ბალკანიადის რეკორდია), ხოლო 100 მეტრზე თარჯრბენში 13,6 წამი აჩვენა. ამ ნიჭიერმა ქალიშვილმა სულ 5 ოქროს მედალი მოიგო. 200 მეტრზე მორბენალ ჭაბუკთა შეჯიბრებაში 20 წლის ჯ. პეტროვმა „უფროსების“ ეროვნული რეკორდი დაამყარა — 20,7 წამი.

ენგურჰესის მშენებლებისგან...

ენგურჰესის 25 მუშამ და მოსამსახურემ მოაწყო საინტერესო ლაშქრობა საბრძოლო დიდების ადგილებში მარშრუტით: ჯვარი — ლათა — გენწვიში — ზემო აჟარა — ქლუხორის უღელტეხილი.

ლაშქრობის მონაწილეებმა წინასწარ გაიარეს სათანადო ფიზიკური მომზადება მშდ კომპლექსის ნორმატივების მიხედვით. მათ ჩაუტარდათ, აგრეთვე, ინსტრუქტაჟი ორიენტირებაში.

ჯგუფმა არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში წარმატებით დალაშქრა 2873 მეტრი სიმაღლის მწვერვალი, სადაც მემორიალური დაფა დადგა. ამ დაფაზე ვკითხულობთ „1941-1945 წლებში სამამულო ომში თავდადებულ გმირებს ენგურჰესის მშენებლებისგან“.

ლაშქრობის ყველა მონაწილემ შეასრულა სსრ კავშირის ტურისტის სამკერდე ნიშნის მოთხოვნები.

ტურისტებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს დაბა ჯვარის მშენებელთა კლუბში.

ლაშქრობას ხელმძღვანელობდნენ ზუგდიდის ტურისტულ-საექსკურსიო ბაზის დირექტორი ო. დარასელია და ენგურჰესის მშენებლობის ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე პ. ჭეჟია.

კ. ფიფია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

[illegible]

◆ ხაშური

ძალოსნობის დარბაზში გაიმართა ძალოსანთა რაიონული გუნდური პირველობა. გაიმარჯვა „კოლმეურნემ“. II ადგილზე გავიდა „სპარტაკი“, III — „ლოკომოტივი“.

* * *

დამთავრდა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა „სპარტაკმა“. II ადგილზე გავიდა „განთიადი“, III — „კოლმეურნე“. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: მ. ლონდაძემ, გ. წვეელიძემ, რ. გელდიაშვილმა, ბ. ლომიძემ, ნ. დევდარიანმა, თ. გაფრინდაშვილმა, ტ. ხარაზიშვილმა (ყველა — „სპარტაკი“), ნ. აბელიანმა („კოლმეურნე“), ი. ხარაზიშვილმა და ო. გელაშვილმა (ორივე — „განთიადი“).

ზ. მოსეშვილი.



ამჯერადაც წაგება

მოსკოვი, 12 აგვისტო. პირველი წაგების შემდეგ აქ სტუმრად მყოფმა ბულგარეთის კალათბურთელ ქალთა ნაკრების წევრებმა საჭირო დასკვნები გამოიტანეს და ენერგიულად წარმართეს მეორე მატჩი სსრ კავშირის ახალგაზრდულ გუნდთან. განსაკუთრებით მძაფრი გამოდგა პირველი ტაიმი, რომელიც საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს მხოლოდ 3 ქულის სხვაობით — 37:34.

ბრძოლა მძაფრი იყო შესვენების შემდეგაც. სტუმრებმა რამდენიმეჯერ სცადეს ინიციატივის ხელში აღება, მაგრამ საბჭოთა კალათბურთელებმა არ მისცეს მათ ამის საშუალება. მატჩის საბოლოო შედეგია 72:61 სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების სასარგებლოდ.

თბილისელი ნ. უშმაევი მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონია

სოლნოკი, 12 აგვისტო. უნგრეთის ამ ქალაქის შემოგარენში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი საპარაშუტო სპორტში, რომელსაც ასოშიეიტედ პრესისა და რეიტერის სააგენტოები ასე ახასიათებენ: „XII მსოფლიო პირველობა სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების პარაშუტისტთა უდავო უპირატესობით ჩატარდა“. საბჭოთა სპორტსმენების ნადავლი მართლაც მდიდრული იყო: 9 ოქროს, 6 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი. ბულგარეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პარაშუტისტებმა საერთო ჯამში 11-11 ოქროს და ვერცხლის, აგრეთვე, 17 ბრინჯაოს მედალი მოიხვეჭეს. ბრძოლა კი უაღრესად დაძაბული იყო.

აბსოლუტური ჩემპიონების წოდება მოიხვეჭეს მოსკოველმა ნ. სერგეევამ და თბილისელმა ნ. უშმაევმა. საუკეთესო პარაშუტისტ ქალთა ექვსეულში სერგეევას გარდა კიდევ ოთხი საბჭოთა სპორტსმენი აღმოჩნდა: ჩებოქსარელი მ. კოსტინა, ვოროშილოვგრადელი ა. შვაჩკო, მურმანსკელი ნ. მამაი და კუიბიშეველი ს. როდიონოვა.

ქალთა გუნდებში ყველას აჯობა სსრ კავშირის ნაკრებმა. ვაჟთა კოლექტივებში პირველი იყო ჩეხოსლოვაკიის გუნდი.

ჩემპიონატში 82 სახელმწიფოს 228 პარაშუტისტი მონაწილეობდა. მხტომთა კოლეგიამ შეაფასა 2780 ნახტომი, დანარჩენები კი ქარისა და წვიმიანი ამინდის გამო გააუქმა.

მსოფლიოს შემდეგი ჩემპიონატი 1976 წელს გაიმართება იტალიაში.

(საკდესი).

ანგარიშს აბარებენ სპარტაკელები

ამას წინათ თბილისში გაიმართა „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს მორიგი პლენუმი. პლენუმმა მოისმინა საბჭოს თავმჯდომარის ა. კორინთელის მოხსენება: „სპორტსაზოგადოება „სპარტაკის" საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების მიერ 1973 წელს ჩატარებული მუშაობისა და 1974 წლის ამოცანების შესახებ".

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭო 1973 წელს თავის პრაქტიკულ საქმიანობაში მთავარ ყურადღებას უთმობდა წინა წელს არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებას.

საზოგადოების ფიზკულტურულ ორგანიზაციებში მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესების შედეგად შესაძლებელი გახდა 1973 წლის გეგმების ყველა მაჩვენებლის გადაჭარბებით შესრულება. 18-ის ნაცვლად მომზადდა 31 სპორტის ოსტატი, 25 სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნაცვლად — 60, დიდი გადაჭარბებით შესრულდა, აგრეთვე, თანრიგოსანთა მომზადების გეგმა-ვალდებულებები. რესპუბლიკური საბჭო საანგარიშო პერიოდში დიდ ყურადღებას უთმობდა კადრების შერჩევასა და განაწილებას. დღეისთვის „სპარტაკის" ორგანიზაციებს ემსახურება 313 ფიზკულტურული მუშაკი, რომელთაგანაც 253 უმაღლესი განათლების მქონეა. 129 ინსტრუქტორ-მეთოდისტიდან 108-ს უმაღლესი სპეციალური განათლება აქვს.

საზოგადოების ორგანიზაციებში მუდამ შეუნელებელი ყურადღება ექცევა საწარმოო ტანვარჯიშის მასობრივად დანერგვას. მუშაობის კოორდინაციისთვის შექმნილია მეთოდკაბინეტი, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე საზოგადოებრივ საწყისებზე სათავეში უდგას თბილწყალსადენის ინჟინერი ვ. ახვერდოვი.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის გეგმებისა და თვითვალდებულებების შესრულებაში თავი გამოიჩინეს: აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, თბილისის, ფოთის, ზესტაფონის, მახარაძის, ლაგოდეხის, ახალქალაქის, საგარეჯოს, თერჯოლის, გორისა და ახპინძის ორგანიზაციებმა.

მასობრივ-ფიზკულტურული, გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის ფართოდ გაშლაში დიდი წვლილი შეიტანეს თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის სპორტკლუბ „მშენებლის", მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის სპორტკლუბ „ისინდის", საფინანსო-ეკონომიური ტექნიკუმის, თბილფოსტამტის, თბილისის „სამტრესტის" საწარმოო კომბინატის, სოხუმის საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების სამმართველოს, ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლის, კიბერნეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფიზკულტურის კოლექტივებმა. ამ კოლექტივების წარმატებას ხელი შეუწყო რესპუბლიკურმა კონკურს-დათვალიერებამ, აგრეთვე, საოლქო, საქალაქო, სარაიონო საბჭოებსა და დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებს შორის გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ.

— სამწუხაროდ, — თქვა მომხსენებელმა,— ჯერ კიდევ ბევრი ფიზკულტურული კოლექტივი მთელი წლის განმავლობაში უმოქმედოდაა.

მაგალითისთვის მან დაასახელა თბილისის ორგანიზაციები: საპარიკმახეროების გაერთიანება, № 8 ღვინის ქარხანა, კბილის სატექნიკო სასწავლებელი, საშუალო სპეციალური მუსიკალური ათწლედი, სამრეწველო-ეკონომიური ტექნიკუმი, ცენტრალური უნივერმაღი, ოპერისა და ბალეტის თეატრი.

მომხსენებელმა განსაკუთრებით აღნიშნა წარსულში ერთ-ერთი მოწინავე კოლექტივის — სპორტკლუბ „სინათლის" მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები. მან თქვა, რომ სპორტკლუბი ვერ იყენებს არსებულ შესაძლებლობებს. ამიტომაა, რომ ტრანსპორტელთა ფეხბურთის გუნდი, რომელიც საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი იყო, ორჯერ კი ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის საკავშირო თასის გათამაშების ლაურეატის სახელიც მოიპოვა, ამჟამად საქართველოს პირველობაშიც არ თამაშობს. აქ ნაკლებად ტარდება შიდასაკოლექტივო პირველობები. მცირეა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩამბარებელთა რაოდენობა. საგრძნობლად დაეცა სპორტული მაჩვენებლების დონე. რესპუბლიკური საბჭოს ნაკრები გუნდებისთვის ვეღარ ამზადებენ მაღალი თამაშების სპორტსმენებს. მოუვლელია დარბაზები და მოედნები. მდიდარი ტრადიციების აღსადგენად ამ კოლექტივში ჯერჯერობით ცოტა რამ კეთდება.

ქუთაისის „სპარტაკის" ორგანიზაციებში მშდ კომპლექსის მდგომარეობის შესახებ პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა ამ საზოგადოების საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ჯ. კვიციანი.

განხილულ საკითხზე კამათში მონაწილეობა მიიღეს ა. ჩაჩავამ („სპარტაკის" აფხაზეთის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე), გ. კოჩიევმა (სამხრეთ ოსეთი), ლ. ნაჭყებიამ (ფოთის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე), ვ. ცინაძემ (ასპინძა), დ. დარჩიაშვილმა (თელავი), ვ. ფაილოძემ (წყალტუბო), კ. ოვანოლლიანმა (ახალქალაქი), ა. მეგრელაძემ (თბილისი).

პლენუმზე ჯილდოები გადაეცათ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლექტივებს. ნაყოფიერი მუშაობისთვის „სპარტაკის" ცენტრალური საბჭოს საჩუქრები მიიღეს ასპინძისა და ახალქალაქის რაიონული საბჭოების საზოგადოებრივმა თავმჯდომარეებმა ვ. ცინაძემ და კ. ოვანოლლიანმა.

პლენუმმა გამოიტანა შესაბამისი დადგენილება.

აი, ვინ გვასახელა

გამარჯვება ყველაზე მძიმე ბრძოლაში

მთელი დარბაზის ყურადღება ორი მუშკეტერისკენაა მიპყრობილი. სარბიელზე „სამკვდრო-სასიცოცხლო" ბრძოლაა გაჩაღებული რაპირისტთა შორის მოსწავლეთა XIII საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონის სახელისთვის. ამ შეხვედრამდე დღევანდელმა მეტოქეებმა — თბილისელმა მალხაზ გუგუშვილმა და ყირგიზმა რინატ ისკაკოვმა რამდენიმე დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს და მხოლოდ თითო ბრძოლა წააგეს.

და აი, ახლა მალხაზი პირველ ჩხვლეტას ღებულობს. შემდეგ — მეორეს, მესამეს, მეოთხეს. წაგვიხდა გუნება მის გულშემატკივრებს.

არა, შეჯიბრების დაწყებამდე მალხაზი იქნებ მოაწერდა კიდეც ხელს „უსიტყვო კაპიტულაციაზე", რათა საპატიო კვარცხლბეკის მეორე, თუნდაც მესამე საფეხურზე დამდგარიყო. ახლა კი ანგარიშია 4:0 ისკაკოვის სასარგებლოდ და მას მხოლოდ ერთადერთი ჩხვლეტა აშორებს ჩემპიონის ოქროს მედალს.

მაგრამ აი, მალხაზ გუგუშვილი თითქოს გარდაიქმნა, მთლიანად შეცვალა ტაქტიკური ნახაზი. იგი აღარ ჩქარობდა, დინჯად და მეთოდურად უტევდა მოწინააღმდეგეს. ამ ბრძოლაში მალხაზმა ნამდვილი მებრძოლის თვისებები გამოავლინა. ფარიკაობაში მსგავსი ფსიქოლოგიურად დაძაბული მომენტი ხშირია, მაგრამ ყველა როდი ახერხებს გამოუვალი მდგომარეობიდან „მშრალად" გამოსვლას. ეს ძალუძთ მხოლოდ ძლიერ, რკინისებური ნებისყოფის მქონე სპორტსმენებს. გუგუშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ეს შეძლო. შეძლო და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ავიდა.

შემდეგ, როცა ბრძოლა დამთავრდა, მალხაზს ვკითხე, რას ფიქრობდი, როცა ჩემპიონი გახდი-მეთქი.

— ვფიქრობდი, ყოჩაღ, მალხაზ, როგორ მოახერხე, ამას ვინ დაგიჯერებს-მეთქი.

დიახ, მალხაზ გუგუშვილმა მოსწავლეთა XIII საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი ყველაზე დრამატულ ბრძოლაში მოიპოვა.

თბილისის 23-ე საშუალო სკოლის კურსდამთავრებული, თ. ფხალაძის მოწაფე. მ. გუგუშვილი ექვს წელიწადს ლესავდა რაპირას, რომელიც ყველაზე მეტად ალმა-ათაში აელვარდა.

ა. ბურასაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ალმა-ათა.

ს უ რ ა თ ზ ე: მ. გუგუშვილი.
ავტორის ფოტო.

„ლელოს" გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ხაშურის რაიონის სოფლებიდან ტაშისკარიდან და ქინძათიდან რედაქციამ მიიღო წერილები, სადაც ახალგაზრდები მოითხოვდნენ სპორტული მოედნების მოსაწყობად მიწის ფართობის გამოყოფას.

საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის პირველი მდივანი ბ. მახარაშვილი გვატყობინებს, რომ ალის საბჭოთა მეურნეობის დირექცია თავთავიანი კულტურების აღების შემდეგ სოფელ ქინძათის ახალგაზრდებს გამოუყოფს მიწის ნაკვეთს მარტივი სპორტული მოედნების მოსაწყობად.

რაც შეეხება სოფელ ტაშისკარში სპორტული მოედნებისთვის მიწის ნაკვეთის გამოყოფას, ქვიშხეთის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობას და სასოფლო საბჭოს აღმასკომს ეს არ შეუძლიათ, ვინაიდან ტაშისკარის ახლომდებარე ნაკვეთები დაკავებულია მრავალწლიანი ნარგავებით. ტაშისკარელ ახალგაზრდებს შეუძლიათ გამოიყენონ სოფელ ქვიშხეთის სპორტული მოედნები, რომლებიც მათგან დაშორებულია სულ 2 კილომეტრით.

როცა გამოცდილება აკლიათ,

ანუ ერთი არსებითი შენიშვნა ევროპის იუნიორთა ჩემპიონატზე

ჰაპარანდა ერთი პატარა ქალაქია შვეციაში. დარწმუნებული ვართ, გეოგრაფიის სპეციალისტებმაც კი ბევრი არაფერი იციან მის შესახებ. სიმართლე რომ ვთქვათ, იგი არც ჩვენს ყურადღებას მიიქცევდა, შვეციის ჭიდაობის კავშირს მოულოდნელად სწორედ იქ რომ არ ჩაეტარებინა ევროპის იუნიორთა ჩემპიონატი.

ისე კი, კაცმა რომ თქვას, რა მნიშვნელობა აქვს ქალაქის გეოგრაფიულ ღირებულებას? ჰაპარანდა მართლაც არ არის დიდი მნიშვნელობის ქალაქი, გეთანხმებით, მაგრამ ამ „უმნიშვნელო" ქალაქს აღმოაჩნდა შნო და სურვილი, რომ თავი გამოეჩინა სტუმარ-მასპინძლობით. სპორტში კი ესაა მთავარი.

დღეს ჰაპარანდა ჭიდაობის ისტორიას ჩაბარდა, როგორც ევროპის იუნიორთა ჩემპიონატების (კლასიკურსა და თავისუფალ ჭიდაობაში) ორგანიზატორი ქალაქი, მაგრამ ბევრისთვის, პირველ ყოვლისა კი საბჭოთა გულშემატკივრებისთვის, იგი კიდევ დიდხანს გამარჯვების სასიამოვნო მოგონებად დარჩება.

ჰაპარანდას კი არა, დიდი საჭიდაო ტრადიციების მქონე ცენტრებსაც არ ახსოვთ ერთი ქვეყნის სპორტსმენთა ასეთი უპირატესობა. ორივე ტურნირში, ჩვეულებისამებრ, მედლების 20 კომპლექტი დარიგდა. და გასაკვირი სწორედ ის არის, რომ არც ერთი საბჭოთა მოჭიდავე უმედლოდ არ დარჩენილა. 20 მონაწილე — 20 პრიზიორი და ამდენივე მედალი. ჰაპარანდას მართლაც რომ ჰქონდა საბაბი ხმამაღლა გამოეთქვა თავისი აღტაცება.

ჩვენ შევხვდით საბჭოთა მოჭიდავეების ერთ-ერთ მწვრთნელს გურამ დათიაშვილს. ჩემპიონატის შემდეგ იგი გულწრფელად იყო გახარებული. ხუმრობა საქმეა? საქართველოს ხუთმა ათლეტმა მიიღო დამსახურებული ჯილდო: ოთხმა — კლასიკურ ჭიდაობაში (ე. მაჩაიძე, თ. აფხაზავა, ა. მინასიანი, მ. სალაძე) და ერთმა (ვ. იმერლიშვილი) — თავისუფალში.

— მართალი გითხრათ, ჩვენს ბიჭებს უკეთესადაც შეეძლოთ გამოსვლა.

„ამაზე უკეთესი რაღა უნდა ყოფილიყო?" — ვიფიქრეთ ჩვენ, მაგრამ მწვრთნელს ვაცალეთ აზრის გამოთქმა, თავისი შეხედულების დასაბუთება.

— უკეთ უნდა გამოსულიყვნენ ჩვენი ბიჭები იმიტომ, რომ დიდი, ამოუწურავი მონაცემები აქვთ. გუნდის გამარჯვებისთვის თავი არ დაუზოგავთ, მაგრამ როცა პირად შედეგზე მიდგა საქმე, ზოგს რწმენამ უმტყუნა. ასეა მუდამ, როცა მოჭიდავეს გამოცდილება აკლია. ისე გაივლის ხოლმე სეზონი, წელი, რომ ჩვენს მოჭიდავეებს ორ-სამჯერ თუ მოუწევთ საერთაშორისო სარბიელზე გამოსვლა. სხვები, აი, თუნდაც ბულგარელები, სულ მუდამ დაკავებული არიან, სულ სადღაც მიემგზავრებიან, სულ ვიღაცის მასპინძლები არიან, ჩვენ კი ერთმანეთთან ჭიდილში სული ამოგვძვრა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ, თუ არ გაიზარდა საერთაშორისო ტურნირების რაოდენობა, საჭირო გამოცდილებას ჩვენი ბიჭები ვერასოდეს შეიძენენ.

დათიაშვილი, რა თქმა უნდა, მართალია. მისი სიტყვების სისწორე რამდენიმე ფაქტით შეიძლება დადასტურდეს.

გავიხსენოთ თუნდაც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის II კურსის სტუდენტის ე. მაჩაიძის მაგალითი. იგი 68 კგ წონითს კატეგორიაში ასპარეზობდა. მაჩაიძემ, რომელიც ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად იყო მიჩნეული, ცუდად დაიწყო ჩემპიონატი ავსტრიელ პრაზნერთან შეხვედრით. ბოლოს ეს შერკინება მან, მართალია, მოიგო, მაგრამ უსიამოვნო შთაბეჭდილების გასაქარწყლებლად რამდენიმე შეხვედრაში ეფექტურად გამარჯვება დასჭირდა. იგი თანდათან შევიდა როლში, ზედიზედ დაამარცხა მეტოქეები, მაგრამ ფინალში ბულგარელ მიჩევთან (ეს უკანასკნელი იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის ორგზის პრიზიორია) ისევ წააგო, თანაც მინიმალური სხვაობით — 5:6. გამოუცდელობამ თავისი დაღი დაასვა მაჩაიძის გამოსვლებს ჯერ ჩემპიონატის სტარტზე, მერე კი — ფინალში. ვერცხლის მედალი, რა თქმა უნდა, კარგი ჯილდოა, მაგრამ, დათიაშვილის თქმისა არ იყოს, ქართველ ოსტატს ჩემპიონობის მოპოვებაც შეეძლო.

ზუსტად ანალოგიური სურათი გამეორდა თ. აფხაზავასთან (74 კგ) და ა. მინასიანთან (90 კგ) შეხვედრებში. აფხაზავამ (იგი წლეულს ქუთაისის პედინსტიტუტში აპირებს შესვლას) ბრწყინვალედ ჩაატარა ყველა წინასწარი შეხვედრა, მაგრამ ფინალში დამარცხდა ბულგარელ შოპოვთან, ათლეტთან, რომელიც მასზე გაცილებით დაბალი კლასისაა. საერთოდ, ქუთაისელ ოსტატს დიდი შესაძლებლობები აქვს, მაგრამ გამოცდილება და ფიზიკური მომზადება აკლია.

გამოუცდელობის მსხვერპლი გახდა სოხუმის პედინსტიტუტის სტუდენტი ა. მინასიანიც. მან 4 შეხვედრა მოიგო წმინდად ისე, რომ მეტოქეებს არავითარი შანსი არ დაუტოვა, მეხუთე შერკინება კი ბულგარელ პეტკოვთან (იგი მსოფლიო ჩემპიონია) იმდენად ფრთხილად და გაუბედავად წარმართა, გეგონებოდათ ხალიჩაზე სულ სხვა მოჭიდავე გამოვიდაო. აქაც მთავარი როლი ერთმა ფსიქოლოგიურმა ნიუანსმა ითამაშა: მინასიანმა იგრძნო, რომ ახლოს იყო სასურველ მიზანთან და ყველაზე მცდარი გზა აირჩია — მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნებისთვის ბრძოლა. გამოცდილ მოჭიდავეს ასეთი შეცდომა არ მოუვა. მინასიანი ორჯერ გააფრთხილეს მსაჯებმა პასიურობისთვის, მერე კი მოხსნეს.

გამოუცდელობის მსხვერპლი გახდა ერთადერთი ქართველი პრიზიორი თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტურნირში ვ. იმერლიშვილიც.

ახლა კი ორიოდე სიტყვა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტ მ. სალაძის შესახებ. ჩვენ იმიტომ კი არ გამოვყავით იგი, რომ ჰაპარანდაში ოქროს მედალი მიიღო (თუმცა მისი გამარჯვება ღირსია ცალკე საუბრისა). სალაძე ყოველმხრივ ჩამოყალიბებული, დახვეწილი სპორტსმენია, რომელიც ბევრად სჯობდა მეტოქეებს ტექნიკურადაც, ტაქტიკურადაც. იგი, ამავე დროს, ალღოთი გრძნობდა მეტოქის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ზუსტად პოულობდა წარმატებისთვის საჭირო ერთადერთ გზას. ეს მისი ნიჭის დამახასიათებელი თვისებაა. მაგრამ სალაძეს, ამავე დროს, მეტი სატურნირო გამოცდილება აქვს. იგი უფრო ხშირად გამოსულა დიდ სარბიელზე და, ცხადია, იშვიათად მოსდის ისეთი შეცდომები, როგორიც მის კოლეგებს...

დათიაშვილმა კიდევ ბევრი რამ გვიამბო ამ ტურნირის გარშემო, მაგრამ ჩვენ მიზანშეწონილად ვცანით ყურადღების გამახვილება ამ ერთ მომენტზე. გამოცდილება ოსტატობის თავისებური სკოლაა. იმისთვის, რომ ბოლომდე გამოავლინოს თავისი შესაძლებლობანი, სპორტსმენმა უფრო ხშირად უნდა იასპარეზოს ტურნირებში, განსაკუთრებით—საერთაშორისო სარბიელზე.

ნ. ბუბუშვილი.

რაიონების სტადიონებზე

ზუგდიდი

ჩატარდა საქართველოს სოფლის ბავშვთა სპორტული სკოლების პირველობა მძლეოსნობაში. ასეთი სკოლა რესპუბლიკაში ჯერჯერობით სამია: ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის „საქართველოს", წალენჯიხის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის ორჯონიკიძის სახელობის და დაბა ჯვარის გეგეჭკორის სახელობის კოლმეურნეობებისა. გაიმარჯვა „საქართველოს" სპორტსკოლამ. II ადგილზე გავიდნენ დაბა ჯვარის, ხოლო III — ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის სპორტსკოლების წარმომადგენლები.

* * *

დამთავრდა „განთიადის" რაიონული საბჭოს სპარტაკიადა 7 სახეობაში. ცაიშის ჩაის ფაბრიკის წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს ჰადრაკში, შაშში, მაგიდის ჩოგბურთში, ფეხბურთში, ფრენბურთსა და კალათბურთში. ტყვიის სროლაში პირველობა ხვდათ ნარაზენის ჩაის ფაბრიკის წარმომადგენლებს. საერთო გუნდურ ჩათვლაში საუკეთესო იყო ცაიშის ჩაის ფაბრიკის ფიზკულტურის კოლექტივი (ინსტრუქტორი ა. შამუგია).

ფ. კანკია.

რაიონების სტადიონებზე

ფეხბურთი
ფეხბურთი
ფეხბურთი
ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

II ლიგა III ზონა

პენალტები ჩალის ფასად

გორი. ქალაქის სტადიონი. 12 აგვისტო.
„დილა" (გორი) — „დინამო" (ბათუმი) 3:0 (1:0).
„დილა": კირვალიძე, ხოხობაშვილი, კობიაშვილი, ჭელიძე, ფრიდმანი, მელაძე, ბერიკაშვილი, ბურჯანაძე, ხანიშვილი (ბუძიშვილი), ბუზალაძე, ბაქრაძე (ტეტუნაშვილი).
„დინამო": მორჩილაძე, გიორგიადი, გოგიჯანაშვილი, ქორიძე, გაგუა, ჩიტაური, ჭეიშვილი (ცინარიძე), წივწივაძე (ესებუა), მჟავანაძე (ბეჟანიძე), ქიქავა, ჩელებაძე.
მსაჯი ს. მიასოედოვი (სოჭი).

ჯერ იმაზე, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამ მატჩს მონაწილე გუნდებისთვის. ბათუმის „დინამოს" წარმატებათა შესახებ ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან. გუნდმა სერიოზულ გამარჯვებათა მთელი სერიის შემდეგ მიაღწია ერთპიროვნულ ლიდერობას ზონაში, დაძლია შარშანდელი სეზონის კრიზისი, თამაშობს თამამად, ძლიერად. დინამოელთა წინაშე გარკვეული ამოცანებია დასახული — ასევე წარმატებით დაამთავრონ ზონალური ტურნირი და შემდეგ იბრძოლონ დასკვნით ტურნირში, რომელიც I ლიგის საგზურს იძლევა.

იგივე შეიძლება ითქვას გორის „დილაზე". გორელები მჭიდროდ მიუახლოვდნენ ლიდერთა ჯგუფს, რეალური შანსი აქვთ მოხვდნენ პირველ სამეულში და ასევე იბრძოლონ ფინალურ ტურნირში. ერთი სიტყვით, ეს მატჩი ბევრ რამეს წყვეტდა, ინტერესი მის მიმართ დიდი იყო. სწორედ ამიტომ ჩავიდნენ გორში თბილისის „დინამოს" უფროსი მწვრთნელი მ. იაკუშინი, რესპუბლიკური სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი ა. ზაზროევი, დამსახურებული მწვრთნელები ნ. ჩხატარაშვილი, ვ. რამიშვილი და სხვ.

მატჩი მართლაც უაღრესად დაძაბული, მწვავე და საინტერესო გამოდგა. მაყურებელი თვალს არ აცილებდა მინდორს, მაგრამ თამაშის სპორტული დონე მნიშვნელოვნად დაეცა სოჭელი არბიტრის ს. მიასოედოვის არაკვალიფიციური მსაჯობის გამო. მან ზედმეტი ნერვიულობა შეიტანა ამ ისედაც უაღრესად საპასუხისმგებლო თამაშში, დროზე ვერ ალაგმა უხეშობა, მერე კი იძულებული გახდა მინდვრიდან გაეძევებინა გორელი ჭელიძე, გაფრთხილება მიეცა ჩიტაურისთვის, გიორგიადისთვის. იგი ხშირად წყვეტდა მატჩის მსვლელობას, განუწყვეტლივ სტვენდა, გამოჰქონდა არასწორი გადაწყვეტილებანი. მიასოედოვმა 3 პენალტი დანიშნა და სამივე, მეტი რომ არა ვთქვათ, პრობლემატური იყო. ასეთი მნიშვნელობის მატჩის ხელმძღვანელად, ჩვენი აზრით, საჭირო იყო უფრო გამოცდილი, უნარიანი მსაჯის დანიშვნა.

ბათუმელები დამარცხდნენ, თანაც დამარცხდნენ დიდი ანგარიშით და მათი გამართლება მარტო მსაჯის არაკვალიფიციურობით არ იქნებოდა სწორი. მე-15 წუთზე მათს საჯარიმო მოედანზე გაიჭრა ბაქრაძე. მეკარე მორჩილაძე წინ გამოვიდა, ჩაუწვა ფორვარდს და ხელით სწვდა მას ფეხში. ეს ისეთი სიტუაცია იყო, რომლის შესახებაც ამბობენ — მსაჯს შეეძლო დაენიშნა პენალტი, ან არ დაენიშნა. მიასოედოვმა დანიშნა. დინამოელებმა დიდხანს იდავეს და მერე, როცა ბუზალაძემ ზუსტად დაარტყა, მათი რიგები აირია. ნაცვლად იმისა, რომ დაეწყნარებინა პარტნიორები, გუნდის კაპიტანი და მოწინავე მოთამაშე ქორიძე ყველაზე უფრო თვითონ ჩანდა გაღიზიანებული, განუწყვეტლივ ეკამათებოდა მსაჯს, ტოვებდა თავის ადგილს, ინდივიდუალური წესით ცდილობდა საერთო მიზნის მიღწევას.

25-ე წუთზე მინდორზე გამართული მუშტი-კრივისთვის გააძევეს ჭელიძე და ბათუმელებმა რიცხობრივი უპირატესობა მიიღეს. მათს განკარგულებაში იყო 65 წუთი, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში გუნდი ისე თამაშობდა, თითქოს არცა ჰქონია ეს უპირატესობა. დროის მეტი ნაწილი მცველებმა და ნახევარმცველებმა საკუთარ ნახევარზე გაატარეს, წინ, შეტევის ხაზზე კი სულ ორი თავდამსხმელი იყო დარჩენილი, რომლებსაც მხოლოდ დროდადრო, ეპიზოდურად თუ ეხმარებოდნენ დანარჩენები. პასიურად თამაშობდნენ ქიქავა, წივწივაძე, მჟავანაძე, ესებუა, რომლებიც გადამწყვეტ იერიშებს მინდვრის შუაგულში ყოფნას ამჯობინებდნენ.

გორელები კი ყოველმხრივი ქების ღირსნი არიან. „დილის" ათმა მოთამაშემ თავგამოდებული, დაუღალავი შრომით ღირსეულად შეასრულა თერთმეტის საქმე, ისინი კომპაქტურად, ენერგიულად მოქმედებდნენ ყველა რგოლში, ყოველ შესაძლებლობას იყენებდნენ სწრაფი და ეფექტური კონტრშეტევებისთვის. განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ბურჯანაძე, ბუზალაძე, ხანიშვილი, ბერიკაშვილი, ბაქრაძე....

76-ე წუთზე ბურთი შემთხვევით მოხვდა ხელზე „დინამოს" ერთ-ერთ მცველს, მსაჯმა კვლავ 11-მეტრიანზე მიუთითა და ბუზალაძემ ისევ ზუსტად დაარტყა, 5 წუთის შემდეგ კი ბურჯანაძისა და ხანიშვილის მიერ გათამაშებული შესანიშნავი კომბინაცია მესამე გოლით დამთავრდა.

სტუმრებს საპასუხო ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა მიეცათ 87-ე წუთზე, როცა „გულუხვმა" მიასოედოვმა ახლა გორელთა კარში დანიშნა პენალტი, მაგრამ კირვალიძემ შეძლო ჩელებაძის მიერ დარტყმული ბურთის მოგერიება.

„დილამ" ამ მატჩში მებრძოლი გუნდის საუკეთესო თვისებები გამოავლინა, კარგად ითამაშა და გაიმარჯვა კიდეც.

ბ. ქორქია.
(ჩვენი სპეც. კორ.).

სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „მერცხალი" (მახარაძე) 2:1, „ხიმიკი" (ძერჟინსკი) — „ფოლადი" (სუმგაითი) 2:0, „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) — „დინამო" (კიროვაბადი) 0:0, „დინამო" (ვოლოგდა) — „ლორი" (კიროვაკანი) 2:0, „ისკრა" (სმოლენსკი) — „დინამო" (ზუგდიდი) 4:0, „დინამო" (ბრიანსკი) — „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) 2:0, „ურალანი" (ელისტა) — „გურია" (ლანჩხუთი) 2:1, „დინამო" (სტავროპოლი) — „კოლხეთი" (ფოთი) 0:2.

9 აგვისტოს სმოლენსკის „ისკრის" და ბელაია კალიტვის „კალიტვის" შეხვედრა „ისკრის" გამარჯვებით დამთავრდა — 1:0.

სტატისტიკა, სტატისტიკა...

უმაღლესი ლიგა

პირველი წრე ციფრებში

◆ პირველ შვიდ მატჩში „ჩერნომორეცი" ისე არ წასულა მინდვრიდან, გოლი არ გაეტანოს.

◆ დიდი ანგარიში აღინიშნა მხოლოდ IX ტურში: „ქაირათი" — „დინამო" (თბილისი) 5:0.

◆ „ზენიტმა" 12 ტური წაუგებლად განვლო.

◆ მოსკოვის „დინამომ" ზედიზედ 5 შეხვედრა დაამთავრა ფრედ, „ზარიამ" კი ამდენივე თამაში ზედიზედ წააგო.

◆ ყველაზე პოპულარული ანგარიში იყო 1:0 (23-ჯერ).

◆ ყველაზე მეტი გოლი გავიდა XIV ტურში — 26.

მ. ყიფშიძე.
რიონი.

* * *

◆ თბილისის „დინამომ" აიღო 13 ქულა (შარშან — 14), ბურთების სხვაობა კი ასეთი ჰქონდა: 12—19 (შარშან—15—14).

◆ ჩვენს დინამოელთა რიგებში გამოვიდა 22 ფეხბურთელი. თხუთმეტივე შეხვედრა ჩაატარა მეკარე მ. გაგოშიძემ, 14-14 — რ. ძოძუაშვილმა, ვ. ჭელიძემ, მ. მაჩაიძემ, 13-13 — კ. ასათიანმა, ვ. გუცაევმა, 12 — ზ. ებრალიძემ, 10-10 — გ. ნოდიამ, ზ. წერეთელმა.

◆ დებიუტანტთა შორის, რომლებმაც პირველად ითამაშეს თბილისის „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში, არიან უ. ქანთარია, დ. მუჯირი, ა. ჩივაძე.

◆ მეტოქის მინდვრებზე გამართულ მატჩებში თბილისის დინამოელებმა სულ 3 ბურთი გაიტანეს (ქანთარია, ასათიანი, გ. ნოდია).

◆ თბილისის „დინამოს" კარში მსაჯებს არც ერთი პენალტი არ დაუნიშნავთ, თბილისელებმა კი 2 თერთმეტმეტრიანი დაარტყეს.

რ. კოპზირიძე.
თბილისი.

სტატისტიკა, სტატისტიკა...

I ლიგა

პირველი წრე ციფრებში

◆ I ლიგის გათამაშებაში შედგა 188 მატჩი (გადატანილია დუშანბეს „პამირის" 2 თამაში). გატანილია 442 გოლი, რომლებიც 165 ფეხბურთელზე მოდის.

◆ მასპინძლებს დიდი უპირატესობა აქვთ: მათ გაიტანეს 296 ბურთი, სტუმრებმა — 146, პირველებმა მოიგეს 107 მატჩი, მეორეებმა კი — მხოლოდ 30.

◆ სტუმრად ყველაზე მეტი თამაში მოიგეს როსტოველებმა — 5. ვერც ერთ ასეთ მატჩში 2 ქულა ვერ აიღეს „ტორპედომ", „ტექსტილშჩიკმა", „პამირმა", „ურალმაშმა", „ყუბანმა", ორჯონიკიძისა და ნალჩიკის სპარტაკელებმა.

◆ ერთ მატჩში ყველაზე დიდი ანგარიში აღინიშნა ლიპეცკის „მეტალურგისა" და ორჯონიკიძის „სპარტაკის" შეხვედრაში — 6:2. გაიმარჯვეს მეტალურგებმა.

◆ სტუმრად ჩატარებულ მატჩებში ყველაზე მეტი გოლი გაიტანეს დონის როსტოვის ასკ-მ და კემეროვოს „კუზბასმა" — 13-13.

◆ შინ ყველაზე მეტი ქულა აიღეს ბაქოს „ნეფთჩიმ" და ქუთაისის „ტორპედომ" — 16-16.

◆ სულ დაინიშნა 41 პენალტი: 33 — სტუმრების, 8 — მასპინძლების კარში. გატანილია 32 პენალტი.

◆ მსაჯებს არც ერთი პენალტი არ დაუნიშნავთ ქუთაისის „ტორპედოს" და კემეროვოს „კუზბასის" სასარგებლოდ.

◆ ქუთაისელთაგან ყველა მატჩში მონაწილეობდა 4 ფეხბურთელი: ჭოხონელიძე, ოქროპირაშვილი, შელია, ქვირია.

◆ I ლიგის საუკეთესო ბომბარდირია მოსკოვის „ლოკომოტივის" თავდამსხმელი ჩესნოკოვი — 11 გოლი. ქუთაისელთაგან ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა ხერხაძემ — 5.

◆ მინდვრიდან გაძევებულია 4 ფეხბურთელი. 60 მოთამაშემ მიიღო გაფრთხილება. ყველაზე კორექტული გუნდები არიან ბაქოს „ნეფთჩი" და ქუთაისის „ტორპედო" — თითო გაფრთხილება.

ჯ. ჩაჩავა.
სოფ. ნოსირი,
ცხაკაიას რაიონი.

სურათზე: სსრ კავშირის თასის წლევანდელ გათამაშებაში გამარჯვებული კიევის „დინამოს" გუნდი. პირველ რიგში: მწვრთნელი ა. პუზაჩი, მასაჟისტი ი. ჟუტნიკი, ვ. სემიონოვი, ვ. კონდრატოვი, ა. დამინი, ვ. მუნტიანი, ვ. ონიშჩენკო, მწვრთნელი ა. პეტრაშევსკი; მეორე რიგში: უფროსი მწვრთნელი ვ. ლობანოვსკი, ექიმი ლ. კოჟანოვი, ა. შეპელი, ვ. მასლოვი, ლ. ბურიაკი, ო. ბლოხინი, ვ. მატვიენკო, გუნდის უფროსი ო. ბაზილევიჩი; მესამე რიგში: ე. რუდაკოვი, მ. ფომენკო, ს. რეშკო, ვ. კოლოტოვი, ვ. ვერემეევი, ვ. ზუევი, ვ. ტროშკინი, ვ. სამოხინი და ექიმი ვ. ბერკოვსკი.

ი. მოსიონჟნიკის ფოტო
(საქდესი).

გარდატეხა უნდა მოხდეს!

დღეს თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები რთული ამოცანის წინაშე დგანან: დიდმნიშვნელოვანი მატჩი აქვთ საკავშირო ჩემპიონატის ლიდერთან და თასის მფლობელთან — კიევის „დინამოსთან".

თამაში, ვიმეორებთ, ძალიან ძნელია, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს გუნდს შესწევს წარმატების მოპოვების ძალა და ვალდებულიცაა თავი არ დაზოგოს საამისოდ. სადღეისოდ შექმნილ ვითარებაში კოლექტივმა მთელი ძალა უნდა მოიკრიბოს, რათა კვლავ დაიბრუნოს რწმენა, აღიდგინოს თამაშის კლასი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ჰქონდა, დაარწმუნოს ყველა, რომ ხანგრძლივი წარუმატებლობა დროებითი მოვლენაა და არა კანონზომიერი.

ჯერ კიდევ ნათლად გვაქვს შემორჩენილი მეხსიერებაში თბილისის „დინამოს" ბრწყინვალე თამაში, ცალკეულ ფეხბურთელთა შესანიშნავი ოსტატობა, მათი მდიდარი შესაძლებლობანი, მიღწევები დიდ შეჯიბრებებში.

გარდატეხა უნდა მოხდეს! გუნდს ჰყავს ახალი მწვრთნელი, გამობრძმედილი, დამსახურებული სპეციალისტი მ. იაკუშინი, რომლის ხელმძღვანელობითაც მას უწინ არაერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუპოვებია. დინამოელებს მართებთ გაათკეცებული ძალითა და მონდომებით იბრძოლონ, არ მოერიდონ დიდ დატვირთვებს, არ დაზოგონ ძალა, ყოველი მატჩის პირველი წუთიდან ბოლომდე ითამაშონ კოლექტიურად, თანამედროვე ყაიდაზე, ყველა რგოლის შეთანხმებული მოქმედებით, იმოძრაონ, იშრომონ, სრულად გამოავლინონ თავიანთი უნარი და შესაძლებლობანი.

წლევანდელი სეზონის მთელ რიგ მატჩებში დინამოელები თამაშობდნენ ტაქტიკურად პრიმიტიულად, უნებისყოფოდ, ნელი ტემპით, საჭირო კია მეტი მობილიზება, ტაქტიკური სიმახვილე, სისწრაფე, მეტი აზარტისა და ტემპერამენტის გამოჩენა.

ყველასთვის ცნობილია, რომ ტექნიკა ტაქტიკის იარაღს წარმოადგენს. ამიტომ ჩვენი ფეხბურთელების ოსტატობა მაქსიმალურად უნდა გამოვლინდეს ტაქტიკურ მრავალფეროვნებაში, შეტევის ახალ ფორმებში, ცალკეული ხაზების ზუსტ ურთიერთმოქმედებაში.

რა დასამალია, რომ გულშემატკივართა ერთმა ნაწილმა დაკარგა ნდობა გუნდის მიმართ. ფეხბურთელებმა უნდა დაამტკიცონ, რომ ყველაფერი დაკარგული არაა. მდგომარეობის გამოსწორებისთვის დრო საკმარისადაა დარჩენილი, დინამოელები ყოველ მატჩში უნდა გამოვიდნენ ერთიან, მეგობრულ, შეხმატკბილებულ, ბრძოლისუნარიან ანსამბლად, დაამტკიცონ, რომ თბილისის „დინამოს" კვლავ შესწევს ძალა იდგეს საბჭოთა ფეხბურთის ავანგარდში. იმედი გვაქვს, ეს უახლოეს ხანებშივე მოხდება.

დ. ცომაია,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

გამარჯვება „ნეკარ-შტადიონზე“

◆

ვიქტორ სანეევი საუკეთესო იყო

◆

ბონი, 12 აგვისტო. (საქდესი). სსრ კავშირის მძლეოსნებმა გფრ-ისა და საფრანგეთის ნაკრებ გუნდებთან გამართულ მატჩში დამაჯერებლად დაამარცხეს ორივე მეტოქე. ვაჟებმა გფრ-ის გუნდს მოუგეს ანგარიშით 232:194, საფრანგეთისას — 257,5:171,5; ქალებმა, შესაბამისად — 145:111 და 177:79.

წვიმამ და სიცივემ (სულ 13 გრადუსი სითბო) მოსკოველ ფაინა მელნიკს ხელი შეუშალა ბადროს ტყორცნაში 70-მეტრიანი ზღუდის გადალახვაში, მაგრამ ასეთ პირობებში 69,04 მეტრის დაძლევამაც 10 ათასი მაყურებლის დიდი აღტაცება გამოიწვია. 11 ადგილზე გასულ ლ. ვესტერმანს (გფრ) მელნიკმა თითქმის 10 მეტრით აჯობა.

ბრწყინვალედ გამოვიდა მეორე საბჭოთა სპორტსმენი, ლენინგრადელი ნ. ჩიჟოვაც, რომელმაც ბირთვი 21,04 მეტრზე ჰკრა. პროგრამის ამ სახეობაში ყველა საპრიზო ადგილი სსრ კავშირის წარმომადგენლებმა დაიკავეს.

უნდა აღინიშნოს მოსკოველი ლ. მასლაკოვას გამარჯვება 100 მეტრზე რბენაში — 11,47. გფრ-ის წარმომადგენელ ი. ჰიოლტენს მასლაკოვამ 0,02 წამით გაუსწრო. ლენინგრადელი მ. სიდოროვა პირველი იყო 200-მეტრიან დისტანციაზე — 23,16, ხოლო ასევე ლენინგრადელმა ვ. გერასიმოვამ ყველას აჯობა 800 მეტრზე შეჯიბრებაში — 2.02,36.

მსოფლიო რეკორდსმენსა და ოლიმპიურ ჩემპიონს, კრასნოდარელ ლ. ბრაგინას ტოლი არ ჰყავდა 1500 მეტრზე რბენაში — 4.12,72. მოსკოველმა ნ. ლებედევამ მოიგო 100 მეტრზე თარჯრბენი — 13,05, ლ. ალფეევამ—სიგრძეზე ხტომა —(647 სმ), ს. ბაბიჩმა (მოსკოვის ოლქი) — შუბის ტყორცნა — 61,18 მ (სეზონის საუკეთესო შედეგი სსრ კავშირში).

ბრძოლა ძალიან დაძაბული იყო. მაგალითად, სიმაღლეზე მხტომელ ქალთა შეჯიბრებაში საუკეთესოთა სამეულში ადგილები მხოლოდ ცდების რიცხვმა გაანაწილა: კ. ვაგნერი (გფრ), თ. გალკა (ოდესა) და ოლიმპიური ჩემპიონი უ. მაიფარტი (გფრ). თითოეულმა 185 სმ გადალახა.

ვაჟთა შეჯიბრებაში მასპინძლები პირველობდნენ სპრინტერულ მანძილებზე: კ.-დ. ბილერი — 10,49, მ. ომერი — 20,73 (საბჭოთა გუნდში არ გამოდიოდა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, კიეველი ვ. ბორზოვი. მწვრთნელებმა გადაწყვიტეს ევროპის ჩემპიონატის წინ, რომელიც რომში ჩატარდება, ახალგაზრდები გამოეცადათ).

საბჭოთა სპორტსმენთა უპირატესობა ნათელი იყო უროს ტყორცნაში (ზაპოროჟიელმა ვ. დმიტრიენკომ 74,04 მ აჩვენა), სამხტომში, სადაც მხოლოდ მათ გადალახეს 16-მეტრიანი ზღვარი (გაიმარჯვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიო რეკორდსმენმა, თბილისელმა ვ. სანეევმა — 16,52), ჭოკით ხტომაში (22 წლის რიგელმა სპორტსმენმა ი. ლაურისმა 530 სმ გადალახა).

გაიმარჯვეს, აგრეთვე, ჩებოქსარელმა ნ. პუკლაკოვმა (10 კმ — 28.39,2), მოსკოველმა ე. მონგინმა (20 კმ-ზე სპორტული სიარული — 1:30.54,4), დონის როსტოველმა ვ. პონომარიოვმა (800 მ — 1.48,06), დონეცკელმა ვ. პოდლუჟნიმ (სიგრძეზე ხტომა — 795 სმ. აქ მეექვსე იყო მიუნხენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, გფრ-ის წარმომადგენელი ჰ. ბაუმგარტნერი), ვილნიუსელმა კ. შაპკამ (სიმაღლეზე ხტომა — 214 სმ), რიგელმა ი. ლუსისმა (შუბის ტყორცნა — 81,48 მ).

საბჭოთა სპორტსმენები წარუმატებლად გამოვიდნენ მხოლოდ 5 კილომეტრზე რბენაში (მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ვ. ზატონსკი მესამე იყო — 13.42,2. გაიმარჯვა გფრ-ის სპორტსმენმა კ.-პ. ჰილდებრანდმა — 13.38,8) და 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში (ვილნიუსელი ი. გრიგასი მეოთხე იყო — 8.29,2. გაიმარჯვა გფრ-ის მძლეოსანმა მ. კარსტმა — 8.25,0).

* * *



სურათზე: ფ. მელნიკი ასპარეზობისას.

ვ. გალაქტიონოვის ფოტო.

ქულა-ნახევრით ჩამოიტოვა

ლიუბლინში გაიმართა მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი.

8,5 ქულით 11-დან I ადგილი დაისაკუთრა ე. ბაუმშტარკმა (რუმინეთი). მან 1,5 ქულით ჩამოიტოვა ე. კონარკოვსკა-სოკოლოვა (იუგოსლავია), ა. შინკა (უნგრეთი), ე. იურჩინსკა (პოლონეთი) და პ. ფოისტელი (გდრ).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ გდრ-ის ჩემპიონი პეტრა ფოისტელი 15 წლისაა.

● ●

ლემაჩკოს გამარჯვება

ბუდაპეშტში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 14 საერთაშორისო ოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა.

10,5 ქულით I ადგილი დაიკავა ბულგარეთის ჩემპიონმა ტ. ლემაჩკომ. 9,5 ქულა აქვს ე. პოლიქრონიადეს (რუმინეთი), 9-9 — ქ. ერეტოვასა (ჩეხოსლოვაკია) და ქ. იოვანოვიჩს (იუგოსლავია).

ჩვენი ჭადრაკის მოყვარულები კარგად იცნობენ ლემაჩკოს, რომელიც საბჭოთა კავშირის თასის პირველი მფლობელი იყო. შარშან იგი ბულგარეთში გათხოვდა და ახლა ამ ქვეყნის სახელით გამოდის.

მალე იუგოსლავიასა და ინგლისში ერთდროულად გამოვა ცნობილი იუგოსლაველი ჟურნალისტის დ. ბელიცას წიგნი „საუბრები ფიშერთან“. ავტორის ნებართვით, სპასკი — კარპოვის მატჩისადმი მიძღვნილ ბიულეტენში, რომელიც ლენინგრადში გამოდიოდა, დაიბეჭდა ნაწყვეტი ამ წიგნიდან. ქვემოთ მოყვანილი ინტერვიუ აღებულია იუგოსლავიის ტელეგადაცემათა სერიიდან „ყველა დროის ათი გამოჩენილი მოჭადრაკე“.

დიალოგი ფიშერთან

● **რა არის ფიშერი?**

— ჩემი გვარია.

● **უფრო დაწვრილებით?**

— გვარი, რომელიც ექვსი ასოსგან შედგება.

● **რა გაინტერესებს ჭადრაკის გარდა?**

— მუსიკა, ტელევიზია, რადიო, სპორტი, ფეხით სეირნობა, მოგზაურობა. ერთი სიტყვით, ბევრი რამ.

● **ზოგჯერ ხომ არ ნანობ, რომ ბედი ჭადრაკს დაუკავშირე?**

— არა, არ ვნანობ. თუმცა ზოგჯერ ვფიქრობ, ჭადრაკი რომ არ ყოფილიყო, მე, ალბათ, შემეძლო კარგი მომღერალი გამოვსულიყავი-მეთქი.

● **შენზე ამბობენ, სრულყოფილი მანქანასავით უშეცდომოდ თამაშობსო. მართლა ასეა?**

— არა. მანქანის შესახებ ვერაფერს გეტყვი, მაგრამ ადამიანი, ჩემი აზრით, უშეცდომოდ ვერასოდეს ითამაშებს.

● **ყოველდღიურად რამდენ საათს უთმობ ჭადრაკს?**

— როგორ გითხრა, გააჩნია... მე ბევრს ვფიქრობ ჭადრაკზე და ხშირად „საჭადრაკო სიზმარსაც“ ვხედავ. ზოგჯერ მეხსიერებაში ვაანალიზებ საჭადრაკო პარტიას სეირნობის ან ჭამის დროს.

● **ამბობენ, რომ ასობით პარტია გახსოვს, მართალია?**

— არა, ათზე მეტი არ მახსოვს.

● **შენს საუკეთესო პარტიად რომელი მიგაჩნია?**

— ის, რომელიც დონალდ ბირნს მოვუგე ცამეტი წლისამ.

● **დაასახელე მსოფლიოს რვა უძლიერესი მოჭადრაკე.**

— მორფი, ანდერსენი, სტეინიცი, ტარაში, ჩიგორინი, ლასკერი, კაპაბლანკა, ალიოხინი.

● **თანამედროვეობის უძლიერეს მოჭადრაკეებად ვინ მიგაჩნია?**

— პეტროსიანი, სპასკი, ლარსენი, ტალი და კორჩნოი.

● **ფიშერი?**

— თავისთავად იგულისხმება, რომ მეც უძლიერესთა რიცხვში ვარ. ძალიან მინდა მოკრძალებული ვიყო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ყველა მათგანზე ძლიერად ვთამაშობ.

● **ვინ მიგაჩნია ყველა დროის ორ უძლიერეს მოჭადრაკედ?**

— მორფი და სტეინიცი.

● **როგორ ფიქრობ, მორფი ახლაც რომ თამაშობდეს, წარმატებას მიაღწევდა?**

— რასაკვირველია. მას ექვს თვეზე მეტი არ დასჭირდებოდა თანამედროვე თეორიის შესასწავლად, რის შემდეგაც დიდი შანსი ექნებოდა მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვებისა.

● **მატჩს მოუგებდა ფიშერსაც?**

— ვერა...

● **პეტროსიანის აზრით, ჩვენს დროში ძნელია ჭადრაკში გამოჩნდეს ისეთი ჩემპიონი, რომ კონკურენტებზე მთელი თავით მაღლა იდგეს, იგი შეიძლება მხოლოდ პირველი იყოს თანასწორთა შორის. ამის თაობაზე რას იტყვი?**

— ჩემი აზრით, ჩემპიონის უპირატესობა ყველა დიდოსტატთან შედარებით სრული და უდავო უნდა იყოს. ისე რა ჩემპიონი იქნება?

● **შენ რვაჯერ იყავი ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი? საბჭოთა კავშირში რომ ცხოვრობდე, როგორ ფიქრობ, იქნებოდი ამ ქვეყნის რვაგზის ჩემპიონი?**

— მაგას დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, მაგრამ მჯერა, რომ შეერთებული შტატების რვაგზის ჩემპიონი ჩემს გარდა ვერც ერთი მოჭადრაკე ვერ იქნებოდა.

● **ვინ მიგაჩნია შენს მთავარ მასწავლებლად?**

— ძირითადად ვსწავლობდი კაპაბლანკას და რუსული საჭადრაკო სკოლის წარმომადგენელთა პარტიებზე.

● **მართალია, რომ პოლიტიკით ხარ დაინტერესებული?**

— მე ბევრს ვმოგზაურობ, ვხვდები განსხვავებულ ადამიანებს... რა თქმა უნდა, მაინტერესებს მსოფლიოში მომხდარი ამბები და ხშირად ვფიქრობ კაცობრიობის მომავალზე.

● **შენი საყვარელი მწერლები?**

— ბავშვობაში გატაცებული ვიყავი ტარზანის თავგადასავლით, მერე მომწონდა მარკ ტვენი და ჯეკ ლონდონი.

● **შექსპირს თუ იცნობ?**

— მართალი გითხრა, ახლა ჟურნალ-გაზეთებს უფრო ვკითხულობ, ვიდრე წიგნებს.

● **თუ მოგწონს ის ამბავი, რომ გამოჩენილი პიროვნება ხარ?**

— საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

● **როგორ წარმოგიდგენია ჭადრაკის მომავალი?**

— ვფიქრობ, რომ ჭადრაკის პოპულარობა სულ უფრო გაიზრდება, ყოველწლიურად სულ უფრო მეტი საჭადრაკო ტურნირი და მატჩი გაიმართება, მეტი საჭადრაკო წიგნი გამოვა. ბევრი რამაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა სისწრაფით განვითარდება საჭადრაკო მანქანები. შეიძლება, მალე მანქანებისთვის ტურნირების გამართვაც დაიწყონ...

● **ხომ არ შიშობ, რომ დროთა განმავლობაში ისეთი მანქანაც შეიქმნება, რომელიც შენ მოგიგებს?**

— არა, ჭადრაკის დაფასთან მე არც ადამიანებისა მეშინია, არც მანქანებისა... და საერთოდ არავისი არ მეშინია, გარდა ჟურნალისტებისა. სხვათა შორის, საუბრის დამთავრების დრო არ არის?

საქდესის გასწორება

„ლელოს“ გუშინდელ ნომერში მე-3 გვერდზე დაბეჭდილ მასალაში სათაურით „19-45“ პრატონი დელ ვივაროდან მოსულ ინფორმაციაში გასასწორებელია ორი შეცდომა: საცხენოსნო სამჭიდში ევროპის იუნიორთა ჩემპიონატის პირად ჩათვლაში გაიმარჯვა შ. კერმა (ინგლისი), ხოლო საბჭოთა სპორტსმენმა ა. ქიბაიტისმა IV ადგილი დაიკავა.



წლეულს 61-ედ ჩატარდა პროფესიონალ ველოსიპედისტთა ყველაზე ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი შეჯიბრება „ტურ დე ფრანსი“, რომელიც არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატად ითვლება. ამ რბოლაში მეხუთედ გაიმარჯვა ბელგიელმა ედი მერქსმა, რომელმაც თავისი ლეგენდარული წინამორბედის ჟაკ ანკეტილის (საფრანგეთი) აბსოლუტური რეკორდი გაიმეორა. ქვედა სურათზე თქვენ ხედავთ 29 წლის მერქსს გამარჯვების შემდეგ.

ზედა ფოტოზე კი, რომელიც 1966 წლის 27 მაისსაა გადაღებული, ანკეტილია აღბეჭდილი ასევე ძალიან მნიშვნელოვანი რბოლის—„ჯირო დ'იტალიის“ ერთ-ერთი ეტაპის დროს. ეს სურათი მოწმობს, თუ რაოდენ დიდი როლი ენიჭება სპორტს სხვადასხვა ეროვნების ხალხთა დამეგობრებაში. ნათქვამია, ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო: ინგლისელი ვინსენტ დენსონი (შუაში) გამაგრილებელ წვენს ასმევს „ტურ დე ფრანსში“ ხუთგზის გამარჯვებულს ჟაკ ანკეტილს. მარცხნივ — იტალიელი ვიტორიო ადორნი.

აფპ — საქდესისა და ასოშიეიტედ პრესის ფოტოები.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02781